სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყაროს საჯარო

სკოლის სპორტული დარბაზის, სასადილოს და გადასასვლელის

შენობების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსი მ. ჭონიაშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი ტ. სტურუა

თბილისი 2016 წელი

შემადგენლობა

ა)განმარტებითი ბარათი

I.შესავალი

II.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII.უსაფრთხოების ტექნიკა

VIII.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“

ნახაზი „მო-2“ - „სადემონტაჟო სქემები“

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყაროს საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის, სასადილოს და გადასასვლელის შენობების დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების(სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

გადასასვლელის შენობის „ნულისქვეშა“ კონსტრუქციული ნაწილის დემონტაჟის დაწყებამდე დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს სკოლის სასწავლო შენობისა და

გადასასვლელი შენობის ურთიერთმომიჯნავედ განლაგებული საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობისა და განლაგების დონეების შესწავლა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს სასწავლო შენობის საძირკვლების გამაგრება-გაძლიერება.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყაროს საჯარო სკოლას აქვს: 1) სასწავლო შენობა; 2) სპორტული დარბაზის და სასადილოს შენობა; 3) გადასასვლელის შენობა; 4) დამხმარე ნაგებობები(ცალკე მდგომი).

აქედან დემონტაჟს ექვემდებარება: 1) სპორტული დარბაზი და სასადილოს შენობა; 2) გადასასვლელის შენობა.

სპორტული დარბაზის და სასადილოს შენობა აშენებულია 1978 წელს. შენობა არის ერთსართულიანი, ზომებით გეგმაში 31,7x18 მ. მზიდი კედლები- თეთრი აგურისგან . გადახურვები -ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით, სიგრძით 9მ. დახურვა - ბრტყელი. დახურვის კოჭები -ანაკრები რკ/ბეტონის. იატაკი - ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით.

სპორტულ დარბაზში წლების განმავლობაში დაზიანებული ბრტყელი სახურავიდან ჩადენილი წყალი აზიანებდა გადახურვის ღრუტანიან

ფილებს, კოჭებს და კედლებს. მათი არმატურა ბევრ ადგილას გაშიშვლებული და დაჟანგულია. ფილების და კედლების ზედაპირი გამწვანებულია. დახურვის კონსტრუქცია აღდგენას აღარ ექვემდებარება. კედლები ცვეთაგანცდილი და დაბზარულია. დაზიანებები აღინიშნება რკ/ბეტონის სარტყელში და სვეტებში.

სპორტული დარბაზის და სასადილოს შენობა სასწავლო შენობასთან დაკავშირებულია გადასასვლელით, ზომებით13x9,2 მ. გადასასვლელის მზიდი კედლები- თეთრი აგურით. გადახურვა -ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილები. დახურვა- ბრტყელი. იატაკი - ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით.

დაზიანებულია ღრუტანიანი ფილები, არმატურა გაშიშვლებულია და კოროზირებულია. კედლები ცვეთაგანცდილია და დაბზარულია.

სპორტული დარბაზის და სასადილოს, ასევე გადასასვლელი შენობები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე სეისმურ მოთხოვნებს, მათი აღდგენა არარენტაბლურია. ისინი ექვემდებარებიან დემონტაჟს.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყაროს საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის, სასადილოს და გადასასვლელის შენობების დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 –„მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 3 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-0,5 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყაროს საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის, სასადილოს და გადასასვლელის შენობების სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1)დროებითი ღობის მოწყობა გოსტ 23407-78-ის თანახმად სადემონტაჟო მოედნის შემოღობვის მიზნით.

2)დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.

3)შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.